

**მთავარი პრიზი
„კოლმეურნი“**

ბროფკავშირულ-კომკავშირული სამეთვლიყობო კროსი რესპუბლიკური მასშტაბით პირველად ამ რვა წლის წინათ შევიდა მძლეობის მრავალფეროვანი დონის ძიებების ნუსხაში. ეს გეტორიტული შეჯიბრება წლეულს საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. მისი შინაარსის დიდი მნიშვნელობის დასტური ამ შეჯიბრებაში ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობა იყო.

რო პრიზის გადაცემისას საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ი. ბოჭორიძემ საზვასმით აღნიშნა სოფლის სპორტსმენთა ეს დიდი წარმატება.

ფინისის ხაზი პირველმა ხარაზიმვილიმა გადაკვეთა — 16.05,2. ხუფაციამ მასთან 18,6 წამი წააგო. III ადგილზე გასული ბლულოვი კი ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელს მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა.

ფინიშთან ექიმის სასწრაფო დახმარება რომ არა, რით დამთავრდებოდა „კოლმეურნის“ დირსებისთვის“ მისი თავგანწირვა.

ყველაზე გრცელი გეოგრაფიით მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები ჩაება: ზუგდიდის, ახალციხის, ბოგდანოვის რაიონებისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენელთა შორის იყენენ კოლმეურნი და სტუდენტი, ვეტფერმალი და აგრონომი, „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე და სოფლის ფიზკულტურის ინსტიტუტორი... ამ კოლმეურნი მსაჯების თვალში ალალად და დამაჯიერებლად მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვება — მეტოქეებს მთელი 32,5 ჟულით აჯობა. მთავა-

საკითხო ჯილდოს მოპოვებისთვის კუს ტბის მიდამოებში მდებარე ბილიკებზე გუშინწინ თავდაუსთგავად იბრძოდა რესპუბლიკის ყველა პროფკავშირული სპორტული საზოგადოების 200-მდე მძლეობანი. ფიზკულტურულ კოლმეურნის ჩათვლას პირველ ოცეულში შესული სპორტსმენები აძლფედნენ. თავიანთ ჯგუფებში წარმატებისთვის იბრძოდნენ საწარმოთა სპორტული კლუბები, უმაღლეს სასწავლებლები და ტექნიკუმები...

კოლმეურნის დირსებისთვის თავდადება კეთილშობილური საქმეა, მაგრამ ზოგიერთ მწვრთნელსა და სპორტსმენს ეს ასე როდი ესმის: ზოჯიერი სტარტზე სრულიად მოუმზადებელი სპორტსმენი გამოდის (ამით, რა თქმა უნდა, ასპარეზობაც უფერულდება). ჩვენ შეჯიბრების ბეგრ მონაწილეს ვევაზერეთ და დავერწმუნდით, რომ ზოგიერთი ამ მანძილებზე არასოდეს გაშოსულა, ზოგს წინა ეტაპის შეჯიბრებებშიც არ მიუღია მონაწილეობა და პირდაპირ რესპუბლიკური პირველობის გონალში ამოყო თავი. ამიტომ ბევრი კროსმენის შედეგი მეტად დაბალი იყო, ზოგიერთმა კი ფინიშამდეც ვერ მიაღწია.

უნივერსიტეტის სტუდენტი რუსუდან ჩუბინიძე 100 მეტრზე თარჯმობინბალია, აქ კი იგი 3000-მეტრიან დისტანციას შეეჭადა და... ვინ იცის, სუფორთვა „კოლმეურნი“, ახალ-

ნაბიჯის შედეგ უკა

სტოკოლმი, 17 სექტემბერი. ევროპული ტურნეს პირველ მატჩში კანადის პროფესიონალმა პოკერისტებმა გასულ შაბათს აქ ანგარიშით 4:1 დაამარცხეს შვეიცის ნაკრები.

სოფის და „ააუფთიანი“ — უხეშობისთვის).

თამაშის შედეგებისას ბევრმა მიმოხილველმა აღნიშნა, რომ კანადელებმა „მოლოდინი ვერ გაამართლეს“. შვედები კი ოკეანისგალმელი დიდოსტატების ავტორიტეტის წინაშე „შემჯობალნი ჩანდნენ“. კანადელებმა მხოლოდ ბოლო ათ წუთს ჩააქსოვეს თამაშში მთელი თავიანთი ხელოვნება და იუპანესპოვის სტადიონის ყინულზე 17780 მაყურებელს ჰპოეის ტექნიკისა და ტაქტიკის მდიდარი არსენალი უჩვენეს.

„შავ სიაში“ მეორე მოთამაშედ ირიცხება კანადელი კემშენი, რომელიც მოედანზე წამლაუწუმ იწყება ჩხუბს. იგი სააჯერ გააძევებს. სულ კი კანადის ნაკრები 26 წუთით დაჯარიმდა, შვეიცისა — 14 წუთით.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კანადელი თავმჯდომარის ვინაი ითმინა, რომ ეს მისი მიზეზების საუკეთესო მატიჩი როდი გახლდათ. მაგრამ იგი საკლებით კმაყოფილი იყო იმით, რომ გადნდა ალოლი ევროპულ საკუბურის, რომელიც ზომით ოკეანის გაღმა მდებარე მოედანებზე მეტია.

ანგარიშე უყვი მე-2 წუთზე გახსნა ჰენდერსონმა: მეორე პერიოდის ამავე წუთზე კლარკმა მასპინძელთა კარში კიდეც ერთი შაბა გაიტანა, რის შემდეგ თამაშმა მეტისმეტად უხეში ხასიათი მიიღო. ამ მხრივ „თავი გამოიჩინა“ ფ. ესპოზიტომ: იგი ერთბაშად 14 წუთით გააძევეს მოედნიდან (ორ-ორი პირე წარიმ წესების დარღვევი-

მასპინძელთა შორის საუკეთესო იყო ექსპროფესიონალი უ. სტერნერი, რომელმაც ამ დღეს ერთადერთი საპასუხო შაბა გაიტანა.

კანადელებთან ყველა უძლიერესმა პოკერისტმა ითამაშა. ვერ ვხეილეთ მხოლოდ სხელგანთქმული ბ. ორი, რომელსაც ვერ მთლად არ მოშეუბებია ტრავმა. იგი მაყურებელთა შორის იყო.

დღეს გამართა ამ გუნდების მეორე მატჩი. ბრძოლა ამჯერად გაცილებით მძაფრი და საინტერესო გამოდგა, რაზეც ნათლად მეტყველებს ანგარიში — 4:4. უნდა აღინიშნოს, რომ კანადელები თამაშის დამთავრებამდე 47 წამით ადრე გადაუჩინენ წაგებას.

შაბიბები გაიტანეს: მასპინძელთაგან — ნილსონმა, ლუნდსტრემმა, პანსონმა და ჰამარსტრემმა, სტუმართაგან — ჰედფილდმა, ოკერომ, მარტინმა და ესპოზიტომ.

ახლა კანადელები მოსკოვში გამოგდენ.

სიომნ ბაბუნაშვილი ეკუთვნის იმ პლადას, რომელიც ვერ კიდევ რევოლუციამდე ჩაღმა ფინიკური ალზრდის სამსახურში და ი, უკვე ნახვეარ საუკუნეზე მეტია ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს. სიომნი ქუთაისის რეალორი სასწავლებლის მოწაფე იყო, როცა 1914 წელს მონაწილეობა მიიღო ტანვარჯიშულ გამოსვლებაში და დიდი ქებაც დაიმსახურა.

სხვადასხვა დროს მისი მასწავლებლები იყენენ საბჭოთა მთამგვლელობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი გ. ნიკოლაძე, პროფესორი გ. მდებრიშვილი, ქართული ტანვარჯიშის მედროსე გ. ეგნატაშვილი, გ. მერკვილაძე, გ. ნიკვაძე და სხვ.

1924 წელს ს. ბაბუნაშვილი ზუგდიდში ჩამოვიდა და ტანვარჯიშული საზოგადოება „სპარტაკი“ დაარსა. ბარალეულად შრომის ცხრაწლიან სკოლაში ასწავლიდა. მუშაობდა პედაგოგიურ ტექნიკუმში, სამედიცინო სასწავლებელში, აგროტექნიკუმში. საკუთარი თავისადმი მკაცრი და მომთხოვნი, მოსწავლეთაგანაც ფეზიკური კულტურის პატივისცემას მოითხოვდა.

ბაბუნაშვილის თაოსნობით 1930 წელს რესპუბლიკის რაიონებს შორის პირველად ზუგდიდში დაარსდა ბავშვთა სპორტული სკოლა, რომელსაც სიომნი წლეების განმავლობაში ედგა სათავეში.

ფიზიკური კულტურის დაუცხრომელ პროპაგანდისტს მოწაფეებიც სახელოვანი ჰყავდა: ქართული ფეხბურთის მწვენიეა შ. შავულაძე, სპორტის ოსტატი ბ. სინაეა, სპორტის ოსტატი ფარიკა-


რის შემდეგ სამხედრო ყაიდაზე გარდამავა სპორტული საქმიანობა: მთელი არმის რიგებს კარგად მომზადებულ შეესებას აძლევდა და წვლილი შეჰქონდა მტრის განადგურებაში.

ბაბუნაშვილი წლების განმავლობაში იყო ამიერკავკასიის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს წევრი, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიუროს წევრი, ზუგდიდის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, „სპარტაკის“ რაიონბჭოს თავმჯდომარე, „დინამოს“ ინსტრუქტორი... სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის 1949 წელს იგი წინინს ორდენით დააჯილდოვეს, 1959 წელს კი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. მას აქვს, აგრეთვე, ბევრი მედალი და „ფიზკულტურის წარჩინებულის“ სამკვრდე ნიშანი.

სიომნისთვის წელთა სიმრავლეს ვერაფერი დაუტკლია. იგი დღესაც ისეთივე მკვირცხლი და ენერგიულია, როგორც ახსოვთ მის მოწაფეებს ამ ათეული წლის წინ. მცხოვან პედაგოგს ყოველ დილით ნახვით ქალაქის მე-2 საშუალო სკოლისკენ აქჰარებული ნაბიჯით მიმავალს. მას ასობით მოსწავლისთვის მიაქვს აღამიანური სიტბო და ფიზკულტურისადმი სიყვარული.

როცა სიომნ ბაბუნაშვილს უყურებ, ძნელია დაიჯერო, რომ იგი 70-ე შემოღობის შეხვდა.

ა. ფიფია.
(ჩვენი კორა).
ზუგდიდი.



სიომნ ბაბუნაშვილი

- (იხე) — 7.53,6. 8000 მ. ქალები.
- მ. მეტრეველი („კოლმეურნი“, თბილისი) — 12.14,0. ე. ბაგაევა („სპარტაკი“, ცხინვალი) — 12.32,9.
- მ. რატინი („კოლმეურნი“, თბილისი) — 12.33,6. 8000 მ 1954-55 წლებში დაბადებული ქაბუები.
- ი. არჯენაიძე („კოლმეურნი“, თბილისი) — 9.22,2, ს. ხაჩატურიანი („კოლმეურნი“, ახალციხე) — 9.31,4. ვ. ტასოვი („სპარტაკი“, ცხინვალი) — 9.37,4. 8000 მ. ვაჟები.
- ა. მიქოიანი („განთიადი“, თბილისი) — 24.59,8. ვ. ნესტერენკო („განთიადი“, რუსთავი) — 25.00,0. ე. ვათიკოვი („სპარტაკი“, ცხინვალი) — 25.04,4.
- გუნდური. სპორტსაზოგადოებები:**
- „კოლმეურნი“ — 213 ჟული,
- „სპარტაკი“ — 180,5, „ბურევსტნიკი“ — 164. სპორტული კლუბები.
- „ფოლადი“ — 57, „სინათლე“ — 51,5, „კოხილა“ — 19.
- უმაღლესი სასწავლებლები.
- ფიზკულტურის ინსტიტუტი — 103, პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 94,5, უნივერსიტეტი — 77. ტექნიკუმები.
- პოლიტექნიკური ტექნიკუმი — 80, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი — 45, რკინიგზის ტექნიკუმი — 23.
- სურათებზე:** ქაბუები 8000 და ქალიშვილები 2000 მეტრზე ასპარეზობისას.
- ა. კოტორაშვილის ფოტოები.**

ამაგდარი

დაპყრობილია ორი 7000-ანი!

ინდიანარე წლის ზაფხულში ქართული მთამსვლელობის ისტორიაში გაუგონარი ჯამბავი მოხდა: საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის საიუბილეოდ საქართველოს ალპური კლუბის სასიმალო ექსპედიციამ, რომელშიც ქართველ მთამსვლელთა ორი თაობა მონაწილეობდა, დაიპყრო პამირის, ანუ, ეგრეთ წოდებული სამყაროს სახურავის ორი 7000-ანი, საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი — კომუნისტის პიკი (7495 მ) და კორჟენეცკაის პიკი (7105 მ). გვესაუბრება ექსპედიციის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ნახევარგამტართა პროფესორი ლაზარ აბაშიძის ვაჟი — ადგილობრივი მთამსვლელი გენერალი ვანუშ ვანიანი.

ლი და სხვები. ამავე პერიოდს იკუთვნის პირველი ასვლის ცდები ლენინისა და კორჟენეცკაის სახელობის მწვერვალებზე.

როდის იწყება დამოუკიდებელი ქართული სასიმალო ექსპედიციები?
— 1954 წლიდან, როცა პამირს ეწვია საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიცია ოთარ გიორგიშვილის ხელმძღვანელობით. აქედან მოყოლებული, ჩვენი მთამსვლელები რეგულარულად ახორციელებენ ასვლებს პამირისა და ტიან-შანის ურთულეს და უმაღლეს მწვერვალებზე. მოპოვებული იქნა მნიშვნელოვანი გამარჯვებანი.

რა იყო წლევანდელი სასიმალო ექსპედიციის მთავარი მიზანი?

— ძირითადი მიზანი იყო ასალი მონაწილე მთამსვლელთა კადრების მომზადება და, ამავე დროს, ხელსაყრელ პირობებში საკონკურსო ასვლების განხორციელება საკავშირო პირველობაზე.

ვინ მონაწილეობდა ექსპედიციაში?

— ეს იყო ორი თაობის ექსპედიცია: 50-ანი წლების პამირის სასიმალო ასვლების მონაწილეთა ერთი ჯგუფი, სპორტის ოსტატები რევაზ ხაზარაძე (ექსპედიციის უფროსის მოადგილე), დიმიტრი დანაძე, ოთარ ხაზარაძე, გიორგი აბაშიძე და მთამსვლელთა ასალი ნაკადი — ტარიელ ლუკაშვილი, ალიოშა გაგაშვილი, სერგო ბარლიანი, გიორგი როსტომაშვილი, გიორგი სავაია, მალხაზ ასროსიანი, შოთა ელისაშვილი, ზურაბ ქირიაშვილი, სანდრო მიქაბერიძე და სხვები.

ცნობილია, რომ მწვერვალის ძირამდე მისვლა ექსპედიციას მუდამ ძვირფას დროს და ენერჯიას ართმევს. თქვენთან როგორ იყო ამ მხრივ საქმე?

— ექსპედიციის მარშრუტი ასეთი გასლდა: თბილისი—დუშანბე—პირ-გიტალი—ფორტამბეკის ყინვარი და უკან. უწინ ჯირგიტალი—ფორტამბეკის ყინვარის მონაკვეთის გასვლა ჩარანთი 12-15 დღე სჭირდებოდა. ამჟერად ეს მანძილი დაფარეთ... 35 წუთში: შევუღმფრენის რამდენიმე რეისი და ექსპედიცია ფორტამბეკის ყინვარზე (3900 მ) დაბანაკდა.

როგორ განხორციელდა ექსპედიციის პროგრამის პირველი ნაწილი, ანუ ახალი თაობის გამოცდა?

— აკლიმატიზაციის, საერთო შემოწმებისა და საბაზო ბანაკის კეთილმოწყობის შემდეგ ექსპედიციის მთელმა შემადგენლობამ ფორტამბეკიდან ვალტერის ყინვარზე გადაინაცვლა (15-20 კმ). ასვლა დაეიწყეთ მე-4 კატეგორიის სირთულის მარშრუტით, ეგრეთ წოდებულ ოთხთა პიკზე (6400 მ). ამ ლამპრობას სამი დღე დასჭირდა: იაბუზზე 800 მეტრით უფრო მაღალი მწვერვალის თავზე 16 კაცი მოექცა.

შემდეგ კორჟენეცკაის ჯერი დადგა. იერიში დაეიწყეთ 26 ივლისს სამხრეთ-აღმოსავლეთის თოვლიან-ყინუ-

ლიანი თხემით. პირველი ბანაკი იყო 5200 მეტრზე, შემდეგი — 5800, 6200, 6500 მეტრზე. 1 აგვისტოს 2 საათზე მწვერვალზე ავიდით დიმიტრი დანაძე, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები, გიორგი აბაშიძე, ტარიელ ლუკაშვილი, გიორგი როსტომაშვილი, სერგო ბარლიანი, გიორგი სავაია და მე, სულ 9 სპორტსმენი.

იმავი დღის დაღმევით 6500 მეტრ სიმაღლეზე, კორჟენეცკაის პიკზე ასვლა ქართველ მთამსვლელთა ასალი გამარჯვებაა. ეს არის საბჭოთა ქვეყნის მეოთხე 7000-ანი, რომელიც კომუნისტის, ლენინისა და გამარჯვების პიკების შემდეგ ქართველ მთამსვლელთა მიერ პირველად იქნა დაპყრობილი. მათს აქტივში ახლა საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლესი მწვერვალია.

რას გვეტყვი კომუნისტის პიკზე?

— ორდღიანი დასვენების შემდეგ ექსპედიციამ გეზი აიღო საბაზო ბანაკისკენ — ფორტამბეკის ყინვარისკენ, საიდანაც უნდა განხორციელებულიყო ასვლა კომუნისტის პიკზე.

ფორტამბეკიდან ამ უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა 1967 წლამდე საბჭოთა ალპინისტის პრობლემა იყო. საქმე ის არის, რომ ჩრდილოეთის მხრით 6000 მეტრის სიმაღლეზე კომუნისტის პიკს აქვს გიგანტური კლდოვან-ყინულოვანი პლატო, რომლის სიგრძე 13, ხოლო სიგანე 2-3 კილომეტრია. იგი ფორტამბეკისა და ვალტერის ყინვარებზე ეშვება თვალუწყვლადი შვეული კედლით. აქ გამუდმებული ზეგავები იცის. ასე რომ, უსაფრთხო გზის გამოძებნა თითქმის შეუძლებელია.

ფერის ვარდგევა ამ 13-კილომეტრის ფორტზე მხოლოდ ორ ადგილზე მოხერხდა, მაგრამ ორივე მარშრუტი კვლავ რთული და, სახიფათოა.

ჩვენი გზა ფორტამბეკიდან იწყება და შვეული კლდოვან-ყინულოვანი მონაკვეთებით გადის ფერის ველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ფერტილში, მაგრამ მწვერვალის მისადგომამდე კიდევ 13-14 კილომეტრია. ეს გზაც ურიცხვი ნაპრალობა დასერილი...

6100 მეტრადან იწყება ასვლა უშუალოდ მწვერვალზე, რომლის დაქანება სამუალოდ 45 გრადუსია. ტექნიკურად ეს სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ სიმაღლის ფაქტორთან ერთად უკვე დიდ წინააღმდეგობას უქმნის ნებისმიერ ჯგუფს.

რამდენ ხანს გაგრძელდა იერიში?


— საბაზო ბანაკიდან მწვერვალზე ასვლა-ჩამოსვლას 9 დღე დასჭირდა.

ალბათ უნდადას აპარატებიც ექონდათ?

— არა, არ გვქონია. კარგად მომზადებული და აკლიმატიზირებული ადამიანის ორგანიზმი უაპარატოდ ეგუება ასეთ სიმაღლეს (6000-7500 მ), თუმცა ბევრისთვის ეს ზღვარია, რომლის იქით ხშირად ფეხის გადაღმაც არ შეუძლია.

ვინ შეხვდა ფეხი კომუნისტის პიკზე?

— მწვერვალზე ავიდნენ დიმიტ-



სურათი: რ. ხაზარაძე კომუნისტის პიკის მისადგომებთან.

აი დანაძე, გიორგი აბაშიძე, ოთარ ხაზარაძე, შოთა მირიანაშვილი, გიორგი როსტომაშვილი, ტარიელ ლუკაშვილი, სერგო ბარლიანი, შოთა ელისაშვილი, ანუ ოთხი ვეტერანი და ოთხი ახალგაზრდა სპორტსმენი.

მსვლელი და შესანიშნავი სპეციალისტი, რომელიც დიდი სიყვარულით ემსახურება ქართულ სასიმალო სპორტს, ყველას ახლობელი და მეგობარია.

როგორია ექსპედიციის შედეგები საერთოდ?

— პირველად ქართული მთამსვლელობის ისტორიაში ერთი ექსპედიციის მიერ დაპყრობილია ორი 7000-ანი მწვერვალი. შეიძლება დაბეჯითებით თქვას, რომ ქართველ მთამსვლელთა მონაწილე გუნდი, რომელსაც ახალი ძლიერი ნაკადი შეემატა: მზადაა პირველხარისხოვანი ამოცანების გადაწყვეტა.

როგორია მოსიმალო მონაცვლის გეგმები?

— ჩვენი ყურადღება მიპყრობილია ტიან-შანისკენ. დიდი სურვილი გვაქვს 1973 წელს — საბჭოთა ალპინისტის 50 წლისთავზე ქართველმა მთამსვლელებმა კიდევ ერთხელ შედგან ფეხი გამარჯვების პიკზე (7443 მ). საბჭოთა ალპინისტის საფუძველი საქართველომ, თბილისის უნივერსიტეტმა ჩაუყარა. გამარჯვების პიკის დაპყრობა მართლაც ღირსეული საიუბილეო საჩუქარი იქნება.

ვინ იყო ექსპედიციის ყველაზე პოპულარული პიროვნება?

— უდავოდ ქვემო ჯუანშერ მუსე-ლიანი, გამოცდილი მოსიმალო მთა-



სურათი: ვეტერანი და ახალგაზრდა — დ. დანაძე და გ. ხაზარა.



სურათი: ვ. მირიანაშვილი.

ბატონო შოთა, პამირი მსოფლიოს მთამსვლელთა საერთო უფრადლების ცენტრია. მართა წლებულს იქ მოეწყო საბჭოთა ქვეყნის თხემივით მოკავშირე რესპუბლიკისა და რვა სოციალისტური ქვეყნის მთამსვლელთა სასიმალო ექსპედიცია. რამ განაპირობა ეს?


— მთამსვლელთა ასეთი სწრაფვა პამირისკენ ბუნებრივია, ვინაიდან იქ თავმოყრილია საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალთა უმრავლესობა: კომუნისტის პიკი, ლენინის პიკი, კორჟენეცკაის პიკი, მისკოვის პიკი...

როდის გაიკვნეს ქართველმა მთამსვლელებმა პამირი?


— ჩვენი მთამსვლელები პამირს პირველად ოქტომბრიდან წლებში ეწვივნენ. ესენი იყვნენ ალიოშა გაგაშვილი, ლევან მარუაშვილი, დავით წერეთე-



სურათი: ვალტერის ყინვარზე.



სსრ კავშირის პირველი გვერდი



შაქლი შაქლი

შაქლი
შაქლი

ლონის როსტოვი. ასკ-ს სტადიონი. 17 სექტემბერი.
ასკ (ლონის როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი) 0:0.

ბს: კუდასოვი, სეროსტანოვი, შერგელაშვილი, მოვილინი, ალექსანდროვი, აფონინი, ანტონოვი, ესკოვი, ზონდარენკო (ჩიხლაძე), მასლიაივი (ჩურკინი), ცაბინი.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ველიძე, ხურცილაძე, ხინჩაგაშვილი (გვაშელი), პეტრიაშვილი, მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოღია, ლ. ნოღია (გუცაივა).

შაქი მ. მკრტიანი (ერევანი).
დუბლოვოვი — 1:1 (მასპინძელთაგან გოლი გაიტანა ჩურკინმა, სტუმართაგან — კუტივაძემ).

ორივე გუნდი თავდაპირველად ერთმანეთს ასაღებდა, მაგრამ ყოველივე ამით გამოდგა: ორივე მკარამ — გოგიაძე და კუდასოვი მართლაც ბრწყინვალედ ითამაშეს და ბევრჯერ ისწავს კარი აშკარა გოლისგან. ეს უფრო მატი მწვავედ, მაღალ ტემპში წარიმართა. თავდასხმელებმა ტექნიკურად, ლამაზად ითამაშეს, მაგრამ ამ დღეს მისდგინებდა ბატონ-პატრონი მკარამი იყვნენ.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.)

გათამაშების ცხრილი
შდგომარეობა 18 სექტემბრისთვის

ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.	ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.
„სპარტაკი“ 23 13 3 7 30-24 29	„დინამო“ 19 14 5 3 32-15 27
„დინამო“ 20 9 6 5 29-17 24	„დინამო“ 22 7 10 5 22-19 24
„დინამო“ 21 8 8 5 23-21 24	„დინამო“ 22 7 10 5 28-27 24
„დინამო“ 20 8 7 5 32-24 23	„დინამო“ 23 7 9 7 26-25 23
„დინამო“ 20 9 3 8 26-22 21	„დინამო“ 22 6 8 8 23-26 20
„დინამო“ 22 6 8 8 23-26 20	„დინამო“ 22 7 6 9 19-25 20
„დინამო“ 21 7 6 8 21-28 20	„დინამო“ 22 3 12 7 14-21 18
„დინამო“ 20 6 5 9 23-23 17	„დინამო“ 22 4 6 12 23-35 14
„დინამო“ 23 3 8 12 23-35 14	„დინამო“ 22 4 6 12 19-38 14

ავსტრიული ბილიარდი

17 სექტემბერს შედგა მორიგი შეხვედრები.
„დინამო“ (კიევი) — ცსკა 2:0.

წინა შედეგ მატჩში არმეღებმა ექვსი მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს. და აი, მათი დაუმარცხებელი წინსვლა კიეველებმა შეაჩერეს. პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ კოლოტოვმა და დოცენკომ ორჯერ აიღეს არმეღთა კარი.

„სპარტაკი“ — „ზენიტი“ 1:2.

ანგარიში გახსნა მოსკოველმა პისკარიოვმა, მაგრამ პირველ ტაიმში „სპარტაკის“ მიერ მოპოვებული უპირატესობა ლენინგრადელებმა სრულყოფილად და ზინინკომ გააქარწყლეს.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0.

ალმათელებმა ალმათელებით ითამაშეს: ყოველ ტაიმში თითო გოლი გაიტანეს. თავდაპირველად ეს გააკეთა პიუნოვსკიმ, შემდეგ — მარკინმა. ეს მატჩი საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში ამ გუნდების მე-16 შეხვედრა იყო. მანამდე „ყაიროს“ მოსკოვის დინამოელები ერთხელაც არ დაუმარცხებია.

„ნაფთხი“ — „ლოკომოტივი“ 2:2.

პირველი გოლი ბაქოელმა სმოლიოვმა გაიტანა, მაგრამ სტუმრებმა ბისკუნოვმა და ჩენსოკოვმა ორი საბასუხო ბურთი მოათავსეს მასპინძელთა კარში. საბოლოოდ ბაქოელმა მარიკოვმა შეძლო წონასწორობის აღდგენა.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (მინსკი) 0:0.

„დინამო“ — „ტორპედო“ 2:1.

მასპინძელთაგან თავი ისახელა პილიპჩუკმა, რომელმაც ექვსწუთიან მონაკვეთში ორი გოლი გაიტანა. ტორპედოელმა ბუტურთაქინმა თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ერთი ბურთის გაქვიფვა შეძლო.

შაქლი
შაქლი

„დინამო“ (მოსკოვი) 12 9 1 2 152:59 19

საბაღარო (საბარო აკადემია) 11 7 2 2 141:70 16

„ლოკომოტივი“ (თბილისი) 12 8 0 4 141:107 16

„ბურჰესტინი“ (ლენინგრადი) 11 6 2 3 109:92 14

„სპარტაკი“ (კიევი) 12 4 1 7 163:126 9

„სპარტაკი“ (მოსკოვი) 12 3 2 7 93:236 8

მსი 12 3 1 8 95:130 7

„დინამო“ (კიევი) 12 2 1 9 89:163 5

ახალგაზრდობის შეიქმნა

მოსკოვი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევითა გამოყენება გაიხსნა ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ცენტრალური გამოფენა. აქ დაახლოებით 10 ათასი ექსპონატია.

სურათზე: საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის შურნალ „მოღელისტ-კონსტრუქტორის“ საზოგადოებრივ-საკონსტრუქტორო ბიუროში გაკეთებული იაქონიანი ნავი — კატამარანი „პიროს-2“ და ვირობლანტი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

თბილისში წაგებისთვის რევანში სწურობდა.

ბრძოლა უშედეგოდ გამოდგა. მასპინძლებმა „ლოკომოტივის“ სპორტსმენებს მათთვის ჩვეული ტექნიკის გამოყენების საშუალება არ მისცეს, სწრაფი თამაშით მინდორს დაეპატრონენ და საბოლოოდ გამარჯვდნენ — 7:6.

საკავშირო ჩემპიონატის XII ტურში რევანშისთვის უჩვეულო ანგარიშით დამთავრდა კიევი გამარჯვებული შეხვედრა: ადგილობრივი „დინამო“ — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საავიაციო აკადემიის გუნდი. კიეველები, რომლებიც სატურნირო ცხრილის ბოლო ხაზზე არიან და I გუნდში დაარჩენის ძალიან ბატარა შანსი აქვთ,

ახალი ბრძოლა

გუშინ წინაგარდაში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის XII ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა: თბილისის „ლოკომოტივის“ ადგილობრივი „ბურჰესტინი“ მასპინძლობდა.

რეინგულ სპორტსმენები გათამაშების ცხრილში II ადგილზე იყვნენ და წინაგარდაში შემთხვევითი სალიტერატო პოზიციის საგრძობლად განმტკიცებდნენ, ლენინგრადელებს კი პირველ წრეში

გათამაშების ცხრილი
შდგომარეობა 19 სექტემბრისთვის

ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.	ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.
„დინამო“ 12 9 1 2 152:59 19	„დინამო“ 11 7 2 2 141:70 16
„ლოკომოტივი“ 12 8 0 4 141:107 16	„ბურჰესტინი“ 11 6 2 3 109:92 14
„სპარტაკი“ 12 4 1 7 163:126 9	„სპარტაკი“ 12 3 2 7 93:236 8
„სპარტაკი“ 12 3 1 8 95:130 7	„დინამო“ 12 2 1 9 89:163 5

პირველი შეხვედრები

დონეცკში მამლინარეობს ჩოგბურთოლი საკავშირო ჩემპიონატი. შეჯიბრებას მასპინძლობს „ლოკომოტივის“ ახალი სტადიონი. იქ სულ 10 კორტია, რომლის ცენტრალურ მოედანზე 1500 მაყურებლისთვის ვითარდისწინებული ტრიბუნებია მოწყობილი. თითოეულ კორტზე მუშაობს ილუმინატორული ერთი სიტყვით, დონეცკში მუშაობს მონაწილეობა შესანიშნავი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საინჟინერო სტადიონი ააგეს.

ტურნირში მონაწილეობს 48 ქალი და 64 ვაჟი. როგორც ეს მუდამ ხდება, ტურნირის სტარტზე ერთმანეთს პირისპირ უთანაბრობდებიან.

ძალის სპორტსმენები დადგნენ. თბილისელმა ი. მეტრეველმა დაამარცხა მოსკოველი ვ. ბრენდ — 6:3, 6:2, 6:1, ბაქოელმა ს. ლიბანოვმა — ესტონელი ა. კეისტიკი — 6:2, 6:0, 6:1, მოსკოველმა ი. გოლოვინამ — ირანელი ვ. კარაბეგოვიანი — 6:1, 6:1, 6:2.

სიახლეა ვაჟთა წყვილებში. მაგალითად, „დინამოს“ ცენტრალურმა საბჭომ ა. მეტრეველის თანამეცხველად თ. კაქულია წარმოადგინა, მეტრეველის ტრადიციული პარტნიორი ლიხაჩოვი კი თავის ძველ თანამეცხველ თ. ლეჟსთან მხარდახმარა ითამაშეს.

რედაქტორი მ. პაპაშვილი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე. გარდა ორშაბათისა და პარაკვივისა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი 8, ლენინის ქ. № 44 (ინდექსი 880008), დეპარტამენტი — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99 56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-07-51, კანცელისმდებელი მდივანი — 93-07-52, მასობრივ ფიქსურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-07-55, სპორტული განყოფილება — 93-07-47, 93-07-58, ფეხბურთის განყოფილება — 93-07-71, 93-07-58, კალარაის განყოფილება — 93-07-57, წერილების განყოფილება — 93-07-51, მემსახურეთა ბიურო — 93-07-59, ფოტოლაბორატორია — 93-07-58, გამომცემი — 93-07-51, კორექტორები — 93-07-49.